# მესამე საერთაშორისო
# სტუდენტური სამუსიკისმცოდნეო კონფერენცია-კონკურსი

# THE THIRD INTERNATIONAL
# CONFERENCE COMPETITION FOR STUDENTS IN MUSICOLOGY

საქართველო, თბილისი 2012 TBILISI, GEORGIA

ბუკლეტზე მუშაობდნენ:
მაია სიგუა, ქეთევან ჩიტაძე, ელენე მურჯიკნელი, თეონა კვაჭაძე.

BOOKLET PREPAIRED BY:
Maia Sigua, Ketevan Chitadze, Elene Murjikneli, Teona Kvatchadze.





თუ დავფიქრდებით იმაზე, რომ შემოქმედება და კვლევა ხელოვნების ორი აუცილებელი და განუყრელი კომპონენტია და ერთის გარეშე მეორე სრულფასოვნად ვერ ფუნქციონირებს, დავინახავთ იმასაც, თუ რა მნიშვნელოვანია მუსიკოლოგიური ვარჯიში და წვრთნა პროფესიული განვითარების ადრეულ ეტაპზე. როგორც სტუდენტი ინსტრუმენტალისტი და კომპოზიტორი საჭიროებს რეგულარულ საკონცერტო (და საკონკურსო) სიტუაციას თავისი წინსვლის საკონტროლოდ, ისე ახალგაზრდა მუსიკოლოგს უნდა ჰქონდეს საშუალება თავისი აქტუალური პროფესიული დონის მოსინჯვისა თანატოლების კონტექსტში, რაც მხოლოდ სტატიის წერისა და პუბლიკაციის პრაქტიკით არასაკმარისი და ნაკლოვანია. მუსიკოლოგთა საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია-კონკურსი ამ ხარვეზის შევსებასთან ერთად იმასაც ემსახურება, რომ ეს კონტექსტი მაქსიმალურად გასცდეს როგორც სასწავლებლის, ისე ქვეყნის ფარგლებს და ამით ქართული მუსიკოლოგია აზიაროს მსოფლიო მუსიკალური აზროვნებისა აქტუალურ მიღწევებს, ქართული მუსიკალური კულტურა კი მსოფლიო კვლევის საგანი გახადოს.

მივესალმები თბილისის კონსერვატორიის მესამე სტუდენტურ კონფერენციას, შთაგონებულ, შემოქმედებით და წარმატებულ მუშაობას ვუსურვებ მონაწილეებს, კონკურსანტებსაც და ჟიურისაც!

რეზო კიკნაძე, კონსერვატორიის რექტორი

If we realize the importance of creative work and research in art and their indivisibility, we also do realize the importance of musicological practice and train at the beginning of professional development. As student instrumentalist and composer needs regular concert/competition for controlling growing of oneself so young musicologist must have opportunity to try own actual professional level in the context of peers, as only writing articles and publications are insufficient. The international student's conference/competition also serves to exceed the bounds of institution and country and share Georgian musicology with world musical achievements and to make Georgian musical culture subject of research.

I would like to congratulate to the third international student conference and wish successful work to participants, competitors and jury!

Reso Kiknadze, Rector of conservatory

# მესამე საერთაშორისო სტუდენტური სამუსიკისმცოდნეო კონფერენცია-კონკურსი

# THE THIRD INTERNATIONAL CONFERENCE COMPETITION FOR STUDENTS IN MUSICOLOGY



## ორგანიზატორებისგან

მოხარულები ვართ, რომ საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია-კონკურსი წელს უკვე მესამედ იმართება - ეს გვაფიქრებინებს, რომ იგი თანდათან მყარ ტრადიციად იქცევა. 2009 წლიდან დღემდე ეს კონფერენცია-კონკურსი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას ახალგაზრდა ქართველი მუსიკოლოგებისთვის და, უკვე უცხოელებისთვისაც - ტრადიციულად მონაწილე ქვეყნებთან ერთად გეოგრაფიული არეალი თანდათან ფართოვდება. იმედი გვაქვს, რომ ეს ტენდენცია შემდეგ წლებშიც შენარჩუნდება და ამასთან ერთად, ქართველი მონაწილეების რიცხვიც გაიზრდება.

წარმატებებს ვუსურვებთ ყველა მონაწილეს, ხოლო ჟიურის - საინტერესო სამუშაო დღეებს.

მაია სიგუა, ქეთევან ჩიტაძე, ნანა კაცია







## FROM ORGANIZERS

We are glad that International Conference-competition for students in musicology in Tbilisi is held for the third time – this fact makes us think that Conference-competition gradually will become a constant tradition. Since 2009 Conference-competition presents itself as one of the most important events as for young Georgian musicologists so for foreigners. We have traditional participant countries, though the number of foreign participants gets more every year. We hope that this tendency will continue and the number of Georgian participants will increase.

We wish successes to all participants and interesting working days to jury.

Maia Sigua, Ketevan Chitadze, Nana Katsia

# განრიგი

27 აპრილი

10:30 მონაწილეთა რეგისტრაცია

11:00 - 11:20 - ჯამილია მირზოევა (აზერბაიჯანი)
11:20 - 11:40 - ტატიანა ტროფიმჩუკი (ბელარუსი)
11:40 - 12:00 - ლიანა ხორბალაძე (საქართველო)

12:00-12:10 - შესვენება

12:10 - 12:30 - მარინა მურაშკო (ბელარუსი)
12:30 - 12:50 - ანასტასია კონოვალოვა (ბელარუსი)
12:50 - 13:10 - ლიუბოვ პეტროვა (ბელარუსი)

13:10 -14:00 ლანჩი

14:00 - 14:20 - იულია ტარანუხა (ბელარუსი)
14:20 - 14:40 - ვიაჩესლავ პეტკო (ბელარუსი)
14:40 - 15:00 - ირინა პილატოვა (ბელარუსი)

18:00 კულტურული პროგრამა: კონცერტი

28 აპრილი

11:00 - 11:20 - რუსუდან დათუკაშვილი (საქართველო)
11:20 - 11:40 - მარიამ ცოცხალაშვილი (საქართველო)
11:40 - 12:00 - მარიანა დუიოვიჩი (სერბეთი)

12:00-12:10 - შესვენება

12:10 - 12:30 - ეკატერინე ყაზარაშვილი (საქართველო)
12:30 - 12:50 - ნევენა სტანიჩი (სერბეთი)

12:50 -14:00 ლანჩი

14:00 - 14:20 - ლევან გომელაური (საქართველო)
14:20 - 14:40 - ნიკოლა დავიკო (იტალია)
14:40 - 15:00 - ვიქტორია კოლაროვსკა-გმირია (მაკედონია)
15:00 - 15:20 - იევა როზენბახა (ლატვია)

17:00 კულტურული პროგრამა:
ვიზიტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში



# SCHEDULE

April 27

10:30 registration of participants

11:00 - 11:20 - Djamilia Mirzoeva (Azerbaijan)
11:20 - 11:40 - Tatiana Trofimchuk (Belarus)
11:40-12:00 - Liana Khorbaladze (Georgia)

12:00-12:10 BREAK

12:10 - 12:30 - Marina Murashko (Belarus)
12:30 - 12:50 - Anastasiya Konovalova (Belarus)
12:50 - 13:10 - Lyubov Petrova (Belarus)

13:10 -14:00 LUNCH

14:00 - 14:20 - Iulia Taranukha (Belarus)
14:20 - 14:40 - Viacheslav Petko (Belarus)
14:40 - 15:00 - Irina Pilatova (Belarus)

18:00 CULTURAL PROGRAMM:
CONCERT

April 28

11:00 - 11:20 - Rusudan Datukashvili (Georgia)
11:20 - 11:40 - Mariam Tsotskhalashvili (Georgia)
11:40-12:00 - Marjiana Dujovic (Serbia)

12:00-12:10 BREAK

12:10 - 12:30 - Ekaterine Kazarashvili (Georgia)
12:30 - 12:50 - Nevena Stanic (Serbia)

12:50 -14:00 LUNCH

14:00 - 14:20- Levan Gomelauri (Georgia)
14:20 - 14:40 - Nicola Derico (Italia)
14:40 - 15:00 - Viktorija Kolarovska-Gmirija (Macedonia)
15:00 - 15:20 - Ieva Rozenbaha (Latvia)

17:00 CULTURAL PROGRAMM:
VISIT AT THE GEORGIAN NATIONAL MUSEUM

აპრილი 29 April

კულტურული პროგრამა: ექსკურსია 9:00 Cultural programm: EXCURSION

მესამე საერთაშორისო
სტუდენტური სამუსიკისმცოდნეო კონფერენცია-კონკურსი
თბილისი, საქართველო 2012

# მონაწილეები PARTICIPANTS

THE THIRD INTERNATIONAL
CONFERENCE COMPETITION FOR STUDENTS IN MUSICOLOGY
TBILISI, GEORGIA 2012

# ბაკალავრიატი

BA



რუსუდან დათუკაშვილი
საქართველო

Rusudan Datukashvili
Georgia



იულია ტარანუხა
ბელარუსი

Yuliya Taranukha
Belarus



ვიაჩესლავ პეტკო
ბელარუსი

Viacheslav Petko
Belarus



ანასტასია კონოვალოვა
ბელარუსი

Anastasia Konovalova
Belarus



ირინა პილატოვა
ბელარუსი

Irina Pilatova
Belarus



მარიამ ცოცხალაშვილი
საქართველო

Mariam Tsotskhalashvili
Georgia



მარიანა დუიოვიჩი
სერბეთი

Marijana Dujović
Serbia

## ანასტასია კონოვალოვა

ბელარუსის მუსიკის სახელმწიფო აკადემია. ბაკალავრიატი, III კურსი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, უფროსი მასწავლებელი ალა ტიხომიროვა


### ა. ლიტვინოვსკის კონცერტი ფორტეპიანოსა და კამერული ორკესტრისათვის „კალიპსო“: ფონისა და რელიეფის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემისათვის რეპეტიტიულ კომპოზიციაში.


მოხსენება ეძღვნება მუსიკალურ მასალაში განკერძოებით და მთლიანობაში აღქმადის, რელიეფურისა და ფონურის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას, XX-XXI საუკუნეების მიჯნის მუსიკაში ამ კატეგორიების გამოვლენის თავისებურებებს თემის- და ფორმისწარმოების პროცესებში.

აქცენტირებულია რელიეფურ-ფონური ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები რეპეტიტიულ კომპოზიციაში, მათი გა-მოვლინება თემატური განვითარებისა და ფორმისწარმოების პროცესებში.

კვლევის საგანია ა. ლიტვინოვსკის კონცერტი ფორტეპიანოსა და კამერული ორკესტრისათვის „კალიპსო“ (2002), რომლის სტილურ თავისებურებას წარმოადგენს თემატური განვითარებისა და ფორმისწარმოების ტრადიციული, და რეპეტიტიული მინიმალიზმის პრინციპების შერწყმა. მსგავსი კომპოზიციის რელიეფურ-ფონური ურთიერთდამოკიდებულების დინამიკა ხასიათდება რელიეფისა და ფონის ფუნქციების გადართვით, რაც თემატიზმის ხასიათით (თემა-პატერნის „ფონური“ თემატიზმისთვის მიკუთვნება) და მისი განვითარების თავისებურებებითაა (განვითარების პროცესში მიკროთემატური წარმონაქმნების გაჩენა) განპირობებული. ფორმისწარმოების პროცესში ფონისა და რელიეფის ფუნქციების გადართვა დაკავშირებულია თემა-პატერნის „თავდაპირველი“ სახით პერიოდულ დაბრუნებასთან, რაც ფორმის რელიეფს ქმნის. ფონისა და რელიეფის ფუნქციების რეპეტიტიული კომპოზიციის ელემენტებად სახეცვალება ერთგვარ „დინამიკის სტატიკას“ წარმოქმნის და ასევე კონცერტის ჟანრის უმნიშვნელოვანესი პრინციპების (ტემბრული დიალოგი და თამაშის პრინციპი) თავისებურ გამოვლინებად ყალიბდება.







## Anastasia Konovalova

Belarusian State Music Academy. BA. 3rd year

Scientific supervisor – Candidate of arts, major teacher Alla Tikhomirova


### CONCERTO FOR PIANO AND STRING ORCHESTRA “CALYPSO” BY A. LITVINOVSKY: ABOUT THE PROBLEMS OF PROMINENCE-BACKGROUND RATIOS IN A REPETITIVE COMPOSITION


The article describes a problem of the ratio of the well-defined and cumulatively perceived, the prominent and background in the musical material, of peculiarities in reflection of these categories in the processes of theme and form formation of music at the turn of the XX-XXI century.

The problems of prominence-background ratios in a repetitive composition are focused on in the article, their reflection in the processes of the thematic development, form formation.

The focus of the researches is Concerto for Piano and String Orchestra “Calypso” (2002) by A. Litvinovsky, which is stylistically peculiar due to combination of the traditional principles of the thematic development and form formation and the principles of the thematic development and form formation of repetitive minimalism. The dynamics of prominence-background ratios in such a composition is characterized by continuous shifts of functions of prominence and background by its elements due to the nature of thematization (belonging of the theme-pattern to “background” thematization) and peculiarities of its development (occurrence of micro-thematic formations in the process of development). The shift of functions of prominence and background in the process of form formation is related to the periodic return of the theme-pattern in its “initial” form, creating a special form prominence. Shifts of functions of prominence and background of the elements in a repetitive composition create the “static of dynamics” in it, becomes a peculiar way to reflect the most important principles of concert genre (the principle of timbre dialog and the playing principle).

**იულია ტარანუხა**

ბელარუსის მუსიკის სახელმწიფო აკადემია. ბაკალავრიატი, III კურსი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი ნატალია განული

## ნიკოლაი ნაბოკოვის შემოქმედება XX საუკუნის დასაწყისის მხატვრული კულტურის კონტექსტში

ნიკოლაი ნაბოკოვის (1903-1978) შემოქმედებითი მემკვიდრეობა XX საუკუნის მუსიკის ისტორიის მკვლევართა დიდი ნაწილისთვის დღეს terra incognita-ს წარმოადგენს. მის მუსიკაში თანამედროვეობა ორგანულად ერწყმის წარსულის საუკეთესო ტრადიციებს და მიმართულია მომავლისკენ, ხოლო ღრმა ეროვნული საწყისი ვლინდება ზოგადევროპული მხატვრული ტენდენციების ფონზე.

ჩვენი ყურადღების ცენტრში ნ. ნაბოკოვის ერთ-ერთი ტიპური ნაწარმოებია ვოკალური ციკლი „ბორის პასტერნაკის ოთხი ლექსი", რომელიც კომპოზიტორის შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდს განეკუთვნება. ჩვენს მიერ განხილულ ნაწარმოებში წარმოდგენილია ავტორის შემოქმედებითი ძიებების მთავარი მიმართულებები კულტურულ-ისტორიული ეპოქის კონტექსტში.

კვლევაში პირველადაა განხილული ნ. ნაბოკოვის ინდივიდუალური მხატვრული სტილის თავისებურებები კომპოზიტორის ესთეტიკურ-ფილოსოფიურ შეხედულებებთან მჭიდრო კავშირში. ნ. ნაბოკოვის მუსიკალური აზროვნების მთავარი თავისებურებებიდან, ჩვენი აზრით, გამოირჩევა ნეორომანტიზმის ტენდენციები, ახალი ტიპის მელოდიკის ძიება, პოლიფონიური ტექნიკის მაღალი დონე, „პროკოფიევისეული" ტიპის თორმეტსაფეხურიან ტონალობაზე დაყრდნობა, პოლიტონალური და პოლიკილოური კონსტრუქციების დამკვიდრება, მუსიკალურ-ფსიქოლოგიური დახასიათებისთვის Sprechstimme-სადმი მიმართვა და სხვ.





**Yuliya Taranukha**

Belarusian State Music Academy. BA. 3rd year
Scientific supervisor – Candidate of Arts, docent Natalia Ganul

## NIKOLAI DMITRIEVICH NABOKOV'S CREATIVE HERITAGE IN CULTURAL CONTEXT OF THE EARLY 20 CENTURY MUSIC

The creative heritage of Nikolai Dmitrievich Nabokov (1903-1978) is terra incognita at present for the researchers of the homeland music of the 20th century. Modernity is harmoniously combined in his music with the best traditions of the past and aspirations for the future, and the deep national origin is reflected in the background of the common European art tendencies.

The focus of our research is on one of the distinguishing works by N. Nabokov – the vocal cycle "Four Poems by Boris Pasternak" related to the mature period of the composer's creative activity. The analyzed work represents the main trends of the author's creative searches in the context of the cultural historical epoch.

The peculiarities of N. Nabokov's individual art style in their inextricable connection with the aesthetic and philosophical views of the composer are analyzed in the research for the first time. Among the constant features of the musical thinking of Nikolai Nabokov the principal ones, in our opinion, are the neoromantic tendencies, search for a new type of melodics, a high level of polyphonic techniques, basis on a twelve-step tonality of the "Prokofyev's" type, implementation of polytonal and polymodal constructions, use of the Sprechstimme technique as a means of musical and psychological characteristics, etc.

**ვიაჩესლავ პეტკო**

ბელარუსის მუსიკის სახელმწიფო აკადემია. ბაკალავრიატი, II კურსი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი ელვირა ოლეინიკოვა

## ვ. ვოიტიკის კამერული სიმფონია „პოეტის უკანასკნელი შემოდგომა“: ჟანრის ინტერპრეტაციისა და პოეტური პირველწყაროს შესახებ

XX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ბელარუსული მუსიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ვ. ა. ვოიტიკის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კამერული სიმფონია „პოეტის უკანასკნელი შემოდგომა“ (Апошняя осень Поэта) პოლ ვერლენის ტექსტზე (მ. ბოგდანოვიჩის თარგმანი).

მიმართა რა ბელარუსული ლიტერატურის კლასიკოსის შემოქმედებას, კომპოზიტორმა შეძლო ორიგინალურად წაეკითხა მის მიერ ამორჩეული ნიმუშები ფრანგული სიმბოლიზმის ფუძემდებლის პოეზიდან, ეგრძნო მათი ემოციური სიახლოვე თავად მთარგმნელის მ. ბოგდანოვიჩის შემოქმედებასთან, აღმოეჩინა მათში ალუზია თანამემამულე პოეტის ბედთან და აეგო საკუთარი მხატვრული კონცეფცია, რომლის ძირითადი იდეა ასახულია ნაწარმოების ღრმად სიმბოლისტურ სახელწოდებაში.

თავისებურად ნოვატორულია ბოგდანოვიჩის პოეზიის მუსიკალური წაკითხვა კამერულ-ვოკალური სიმფონიის ჟანრში. ამ უკანასკნელის ბელარუსი კომპოზიტორებისეული ინტერპრეტაცია, ჩვენი აზრით, საკმაოდ არაორდინარულია და სამამულო მუსიკაში ჯერ-ჯერობით ანალოგები არა აქვს. ნაწარმოებში რიგი ჟანრული მოდელების სინთეზირებით (განსაკუთრებით, სიმფონიის, ვოკალური ციკლის, სუიტის გამჭოლი განვითარების ნიშნებით) ვოიტიკი აჩვენებს სიმფონიური ციკლის უნივერსალურობას, აღმოაჩენს მასში „მობილურობისადმი“ განსაკუთრებულ ინტენციას და კომპოზიციურ მრავალფეროვნებას.





**Viacheslav Petko**

Belarusian State Music Academy. BA. 2nd year
Scientific supervisor – Candidate of arts, Docent Elvira Oleinikova

## CHAMBER SYMPHONY «POET'S LAST AUTUMN» BY V. VOYTIK: THE PROBLEM OF INTERPRETATION OF THE GENRE AND POETIC ORIGINAL SOURCE

In various on genre composition work of one of the largest Belarussian composers of the last fourth of the twentieth century V.A. Voytik an important place of the composer's Chamber symphony «Апошняя восень Поэта» by V. Voytik on the poems by Verlaine, translated by M. Bogdanovich.

Appealing to work of classic of Belarussian literature, a composer managed to find the original reading of select by him translations of founder of French symbolism, feel their emotional closeness to work of Bogdanovich, to find out in them allusions with the fate of home Poet and to line up own artistic conception the basic idea of that is reflected in the deeply symbolical name of work.

In its own way innovative is the musical reading of poetry of Bogdanovich in the genre of chamber vocal symphony interpretation of that by the Belarussian composer, in our view, very eccentric and in native music while does not have analogues. Synthesizing the row of genre models (actually symphony, vocal cycle, suite with the lines of through development) in work, V. Voytik proves universality of symphonic cycle, opening in him the special intensions to "mobility" and variety of composition.

## ირინა პილატოვა

ბელარუსის მუსიკის სახელმწიფო აკადემია. ბაკალავრიატი, V კურსი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ეკატერინა დულოვა


### ბელარუსი ამნერისი: ლუბკას სახე ვ. კოროტკევიჩის მოთხრობაში „ჭაღარა ლეგენდა" და დ. სმოლსკის ერთსახელიან ოპერაში


სტატიაში განხილულია ლიუბკას სახე ცნობილი ბელარუსი მწერლის, ვლადიმერ კოროტკევიჩის მოთხრობაში „ჭაღარა ლეგენდა" და ეროვნული კომპოზიტორის დმიტრი სმოლსკის ერთსახელიან ოპერაში.

სტატიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მწერლისა და კომპოზიტორის მიერ გმირის რთული ხასიათის ინტერპრეტირების შედარება. ასევე, შევეცადეთ გმირის ქცევის მოტივებში გარკვევა, რაც ასახულია არა მხოლოდ ვერბალურ, არამედ მუსიკალურ ტექსტში.

დამატებით მოვახდინეთ ორი ხასიათის შედარება: ბელარუსი ლიუბკას და იტალიელი ამნერისის - ჯუზეპე ვერდის ოპერიდან „აიდა", რომლებიც მსგავს ცხოვრებისეულ ვითარებაში მოხვდნენ. ამისთვის ჩვენ, ერთი მხრივ, თვალი გავადევნეთ ორივე ოპერის სიუჟეტების განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ კი, შევეცადეთ ამა თუ იმ სიტუაციაში, მოცემული ორი გმირის ქცევაში გვენახა მსგავსება. გარდა ამისა, ჩვენ აღვნიშნეთ ლიუბკასა და ამნერისის მუსიკალური დახასიათებების ზოგიერთი მსგავსება.

დასახული ამოცანების ამოსახსნელად გამოვიყენეთ ტექსტოლოგიური მეთოდი, რომელიც ე. რუჩიევსკაიას შრომების საფუძველია, ასევე ვიხელმძღვანელეთ სტილური ანალიზის მეთოდითაც.







## Irina Pilatova

Belarusian State Music Academy. BA. 5th year
Scientific supervisor – Doctor of Arts, professor Ekaterina Dulova


### BELARUSIAN AMNERIS: AN IMAGE OF LUBKA IN V. KOROTKEVICH'S STORY "SIVAYA LEGENDA"("GRAY-HAIRED LEGEND") AND IN THE OPERA OF D. SMOLSKY OF THE SAME NAME


In the article we considered the image of Lubka in the story of outstanding Belarusian writer Vladimir Korotkevich "Sivaya legenda ("Gray-haired Legend") and the opera of national composer Dmitry Smolsky of the same name.

Comparison of sophisticated heroine's character interpretations by the writer and the composer became the main task of our research. We tried to understand the motives of her behavior reflected both in the verbal text of the libretto and in musical text of opera.

In addition, we compared two characters – Belarusian Lubka and Italian Amneris from Verdi's opera "Aida" under similar vital circumstances. For that we have tracked the development of both operas plots and tried to discover similarity in their characters behavior in different situations. Moreover, some semblance of musical characterizations of Lubka and Amneris was noted.

To achieve the tasks we have applied the textual method, which has become the basis of the works of E. Ruchyevskaja, and also the method of stylistic analysis.

## რუსუდან დათუკაშვილი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. ბაკალავრიატი. IV კურსი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფ. მარინე ქავთარაძე

### ევროპული და არაევროპული მუსიკალური კულტურების ურთიერთმიმართების პრობლემა XX საუკუნის ფრანგულ მუსიკაში

აღმოსავლეთის და დასავლეთის ოპოზიცია ერთ-ერთ ძირითად პარადიგმად გვევლინება, რომელმაც განსაზღვრა ევროპული კულტურის თვითშეგნება. ევროპული და არაევროპული კულტურების დიალოგი დღესაც აქტიური განვითარების პროცესშია და მათი ურთიერთმიმართების საკითხი ინტენსიურ შესწავლას მოითხოვს. ჩვენს მოხსენებაში აღნიშნული პრობლემა ფრანგული მუსიკის მაგალითზეა განხილული.

ფრანგული მუსიკალური კულტურა ყოველთვის გამორჩეული იყო ამ სიახლეების ათვისების მხრივ. პირველი კომპოზიტორი, რომელმაც თავის შემოქმედებაში ასახა აღმოსავლური მუსიკალური აზროვნების თავისებურებები იყო კლოდ დებიუსი. მუსიკა, რომელმაც კომპოზიტორის სააზროვნო სისტემაზე უდიდესი გავლენა მოახდინა კუნძულ იავას გამელანი იყო. ის მსმენელის წინაშე წარსდგა 1889 წელს, საერთაშორისო გამოფენაზე პარიზში. აღმოსავლური მუსიკალური კულტურის გავლენა მკაფიოდ აისახა ოლივიე მესიანის შემოქმედებაშიც, სადაც კომპოზიტორი ახალ საკომპოზიციო ხერხებს ძველი ტრადიციების, მათ შორის ინდური მუსიკის საფუძველზე ქმნიდა. მის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ინდური მუსიკალური კულტურა, რის საფუძველზეც მესიანმა შექმნა ახალი კილოები და ტალას სისტემაზე დაფუძნებული რიტმული სტრუქტურა.





## Rusudan Datukashvili

Tbilisi State Conservatoire. BA. 4th year
Scientific supervisor – Doctor of Arts, assoc. prof. Marine Kavtaradze

### EUROPEAN AND NON-EUROPEAN MUSICAL CULTURE RELATIONSHIP PROBLEM IN THE 20TH CENTURY FRENCH MUSIC

Confrontation between the East and the West appears to be one of the main paradigms that defined the identity of the European culture. Dialogue between the European and non-European cultures is an active process of development even today and the issue of their relationship requires intensive study.

The problem mentioned in this presentation has been considered on the example of French music.

French musical culture was always notable for its implementation of novelties. The first composer who reflected peculiarities of the new oriental musical thinking in his work was Claude Debussy. Music that greatly affected the composer's way of thinking was gamelan from the Isle of Java. It was presented to the audience in 1889 at the international exhibition in Paris.

Impact of the oriental musical culture has also been clearly reflected in the works of Olivier Messiaen who created new composing instruments on the basis of old traditions including Indian music traditions. Indian music culture held special place in the composer's work; he created new modes and a rhythmic structure based on the tala system.

## მარიამ ცოცხალაშვილი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. ბაკალავრიატი. IV კურსი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფ. მარინე ქავთარაძე


### მუსიკალური ციტირების პრობლემა კლასიცისტურ ოპერაში (მოცარტისა და სალიერის შემოქმედების მაგალითზე)

კლასიციზმის ეპოქაში კომპოზიტორები ციტირების ხერხს აქტიურად მიმართავდნენ. მოცარტი და სალიერი იყენებდნენ ციტატებს როგორც სხვა კომპოზიტორების, ასევე საკუთარი შემოქმედებიდან. ორივე მათგანი თავისებურად უდგებოდა ამ პრობლემას. ზოგჯერ ესაა ორიგინალი ტექსტის ზუსტი, უცვლელი სახით გამოყენება, ზოგჯერ კი ხდება ამა თუ იმ კომპოზიტორის შემოქმედების სტილიზაცია, რაც მუსიკალური იდიომების თანხვედრის გამო ციტირებად აღიქმება.

საკმარისია გავიხსენოთ ბახის თემა, გამოყენებული მოცარტის მიერ მეთორმეტე საფორტეპიანო კონცერტში, ასევე მოცარტისავე ოპერაში „დონ ჯოვანი" გამოყენებული თემა მისივე ოპერიდან „ფიგაროს ქორწინება". ის ხშირად ხუმრობით ახდენდა ამა თუ იმ თემის ციტირებას საკუთარ მუსიკაში.

რაც შეეხება სალიერის ოპერას Prima la musica, poi le parole, მასში ერთი მეექვსედი მუსიკალური ტექსტის ციტატებს უკავია. სალიერი ციტირებს თემებს შემდეგი ნაწარმოებებიდან: სარტის Giulio Sabino-დან, ტარჩის – Cari Oggetti და საკუთარი Pensieri Funesti-დან. სალიერის Prima la musica, poi le parole გვაჩვენებს „ნასესხები" მუსიკის გამოყენებისა და მრავალ-ავტორიანობის პრობლემებს საოპერო ნაწარმოებში, რომელიც თავს იჩენს ისეთ ჟანრებში, როგორებიცაა პასტიჩი და ვოდევილი.

მუსიკალური ციტირების პრობლემა, როგორც საკომპოზიტორო ხერხი განსაკუთრებით აქტუალური XX საუკუნიდან ხდება.






## Mariam Tsotskhalashvili

Tbilisi State Conservatoire. BA. 4th year
Scientific supervisor – Doctor of Arts, assoc. prof. Marine Kavtaradze


### PROBLEM OF MUSICAL QUOTATIONS IN THE CLASSICAL OPERA (THE PARADIGM OF MOZART'S AND SALIERI'S OPERAS)

The paper is considering problem of musical quotation in the classical opera, Mozart's and Salieri's operas can be regarded as a paradigms in this respect. Technique of quotation was frequently used by the composers of classical era. Mozart and Salieri used excerpts from the pieces of another authors as well as of their own. Their points of view were different to the problem – they either quote the text of another author as it sounds in its original, or stylize another composer's manner, that is found like citation because of coinciding musical idioms.

Mozart quotes themes of Bach's in his piano concerto no.12 as well as from opera "Mariagge of Figaro" of his own in opera "Don Giovanni". He often used to cite other composers' themes jokingly.

Salieri's Prima la musica, poi le parole consists of a larger quotations, making up nearly a sixth of the whole opera. This opera incorporates three different blocks of quotations from Sarti's Giulio Sabino, as well as Tarchi's Cari Oggetti and Pensieri Funesti of Salieri himself.

The implicit message of Prima la musica, poi le parole could be seen as a parallel to today's paradigms of intertextuality and multi-autorship showing itself within such artistic genres as pastiche and vaudeville.

**მარიანა დუიოვიჩი**

ბელგრადის ხელოვნების უნივერსიტეტი. მუსიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფ. ტატიანა მარკოვიჩი

## სერბეთის სამეფოს (1897-1912) მუსიკალური ცხოვრება სტანისლავ ბინიცკის მიერ ბელგრადში ორგანიზებული მუსიკალური მოვლენების მიხედვით

1878 წელს, ოტომანთა იმპერიის 50-წლიანი ბატონობის შემდეგ სერბეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. დაპყრობილ მდგომარეობაში ყოფნისას, სხვა ქვეყანების მსგავსად, ბუნებრივია, შეუძლებელი იყო განვითარებულიყო დასავლეთ ევროპის მსგავსი კულტურული და არტისტული ყოფა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვითარება დაიწყო ევროპული სტილის კულტურულმა ცხოვრებამ ზოგიერთი ეროვნული ნიშნით. ოც წელიწადში სტანისლავ ბინიცკის (1872-1942) წყალობით ბელგრადში პირველი კონცერტები გაიმართა.

ბინიცკი იყო კომპოზიტორი, დირიჟორი, ლოტბარი, მასწავლებელი და ბელგრადის მუსიკალური ცხოვრების ორგანიზატორი. მან ბელგრადის მუსიკალურ ცხოვრებაში შემოიტანა ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოებების მონუმენტური წარმოდგენები, ისევე, როგორც დააარსა სისტემატური დაწესებულება ოპერების დადგმისათვის - იგი ოპერის ახლადდაარსებული თეატრის პირველი დირექტორი იყო (1920-1924). მოხსენების მიზანია მიმოიხილოს ბინიცკის მრავალფეროვანი მოღვაწეობა (1897-1912) წლებში, მისი თანამედროვეების შეხედულებების მიხედვით და სერბეთის სამეფოს მუსიკალური ცხოვრების კონტექსტში.





**Marijana Dujović**

University of art Belgrade. Faculty of Music. BA
Scientific supervisor – prof. Tatjana Marković

## MUSIC LIFE IN KINGDOM OF SERBIA (1897-1912) TROUGH MUSIC HAPPENINGS IN BELGRADE ORGANIZED BY STANISLAV BINIČKI

In year 1878, almost 50 years after becoming principality inside Ottoman Empire, Serbia gained full independence. After many centuries under Ottoman reign, there was no chance for immediate cultural and artistic life as in Western Europe. After gaining independence, European-style cultural life with some national marks started to emerge. Twenty years in, mostly thanks to activities of Stanislav Binički (1872-1942) Belgrade got first concerts. Binički worked as a composer, conductor, choir leader, teacher and organizer of musical life in Belgrade.

Thanks to Binički, musical life in Belgrade was introduced monumental performing of vocal-instrumental works, as well as systematic institutional performance of opera – he was the first director of the founding of Belgrade Opera (1920-1924). This paper aims to review reception of multi-faceted activities of Stanislav Binički, in his contemporary's viewpoints between 1897. and 1912, and in context of music life of Kingdom of Serbia.

# მაგისტრატურა

# MASTER STUDIES

ნევენა სტანიცი
სერბეთი

Nevena Stanic
Serbia

ლიანა ხოტბალაძე
საქართველო

Liana Khotbaladze
Georgia

ეკატერინე ყაზარაშვილი
საქართველო

Ekaterine Qazarashvili
Georgia











ლუბოვ პეტროვა
ბელარუსი

Lubov Petrova
Belarus

მარინა მურაშკო
ბელარუსი

Marina Murashko
Belarus

## ლიანა ხორბალაძე

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. მაგისტრატურის I წელი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფ. ქეთევან ბოლაშვილი

### ფორტეპიანოს ტემბრის გაფართოების ზოგიერთი საკითხი XX საუკუნის II ნახევრის მუსიკაში

ფორტეპიანოს ბატონობის ხანად სამართლიანად რომანტიზმის ეპოქას აღიარებენ. ამ პერიოდში ფორტეპიანოს ტექნიკური რესურსები მაქსიმალურად იყო ათვისებული და გამოყენებული. შესაძლებელია სწორედ ამიტომ XX საუკუნეში ფორტეპიანო განვითარების რადიკალურად განსხვავებულ გზას დაადგა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, რაც XX საუკუნემ მოუტანა ფორტეპიანოს, ახალ ფუნქციებთან და ჟღერადობასთან ერთად იყო ბგერის შეცვლა ინსტრუმენტის სიმებში უცხო საგნების მოთავსებით, ანუ მისი პრეპარირება. დღეს ეს ტერმინი ჯონ კეიჯის სახელთან ასოცირდება, თუმცა შემდეგ მას არაერთი მიმდევარი გაუჩნდა, რამაც წარმოქმნა პრეპარირების სხვადასხვა ხერხები. ფორტეპიანოს ბგერის ხელოვნურად შეცვლის მეთოდებს წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ ჯონ კეიჯისა და ჯორჯ კრამბის ნაწარმოებებზე დაყრდნობით.

ნაშრომის ბოლოს შევეხებით აგრეთვე ელექტრონული ბგერათწარმოების საშუალებებს. შევეცდებით დავადგინოთ თუ რა შეცვალა ელექტრონულმა რესურსებმა ფორტეპიანოში და როგორ თანაარსებობს ეს ორი, ერთი შეხედვით შეუთავსებელი სფერო.





## Liana Khorbaladze

Tbilisi State Conservatoire. Master studies, 1st year
Scientific supervisor – Doctor of Arts, assoc. prof. Ketevan Bolashvili

### SOME QUESTIONS ON PIANO TIMBRE EXPANSION IN MUSIC OF THE SECOND HALF OF 20-TH CENTURY

Timbre expansion will be the subject of our report, more precisely – the piano. By the observation of this instrument we will try to understand what reasons have stipulated such active researches in the sphere of musical sound, what means have been used to obtain desired result and how it was artistically incarnated.

In the second half of the 20th century piano sound changing occurred by the means of placing foreign subjects in the chords, in the other words, piano sound was artificially changed, prepared. Today the term “prepared” is associated with American composer John Cage. By the observation of his works we will try to ascertain the main principles of piano “preparation”.

Later different method of preparation was formed, in which the sound was not preliminarily changed; it was changed during the rendition. Fine examples of this are works of American composer George Crumb. Lean upon his pieces “Makrokosmos” we will show how the composer manages to change the timbre of the instrument. We will also discuss completely new use of piano resources, which is presented in Lachenmann’s piano etude “Guero”. The composer uses absolutely new methods of piano technique: pizzicatos on the chord clamps, arpeggios on key surface. In fact, the pianist applies all the methods of rendition except for traditional-playing the keys. In the end we will touch the subject, which entirely expanded the world of music sound. These are electrical sound producing equipments. In our work we will try to ascertain what changes electrical resources have brought to piano and how these two, as though incompatible spheres, co-exist.

## მარინა მურაშკო

ბელარუსის მუსიკის სახელმწიფო აკადემია. მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი ელვირა ოლეინიკოვა

### ავეტ ტერტერიანის მუსიკა სომხური კინემატოგრაფის კონტექსტში

ავეტ ტერტერიანი კინოხელოვნებასთან რამდენიმე დონეზეა დაკავშირებული: ვიგენ ჩალდარიანის ფილმში „ხმა მღაღადებელი" იგი არა მარტო კომპოზიტორად, არამედ მსახიობადაც გვევლინება - ერთ-ერთი ეპიზოდური როლის შემსრულებელია. გარდა ამისა, მისი სიმფონიის დრამატურგიის გარკვეული ასპექტები შესაბამისობაშია კინემატოგრაფიულ ხერხებთან.

კინოხელოვნებაში კომპოზიტორის ნამუშევრების სია შთამბეჭდავია. მას ეკუთვნის მუსიკა ოცზე მეტი ფილმისთვის, რომელთა ჟანრებს შორისაა დრამა, ისტორიულ-ბიოგრაფიული, დოკუმენტური.

მოხსენების მიზანია წარმოადგინოს ავეტ ტერტერიანის სიმფონიური მუსიკა სომხური კონემატოგრაფის კონტექსტში. კვლევას საფუძვლად უდევს ტრადიციული ისტორიულ-თეორიული მუსიკისმცოდნეობის მეთოდები, ასევე ი. იოფეს, ზ. ლისას, ნ. აგაფონოვას, ი. ჰანგელდიევას, ი. შილოვას, ს. გურევიჩის, ი. იოსკევიჩის და სხვათა ნაშრომები კინემატოგრაფიის შესახებ.





## Marina Murashko

Belarusian State Music Academy, Master studies
Scientific supervisor – Candidate of arts, Docent Elvira Oleinikova

### MUSIC BY AVET TERTERIAN IN THE CONTEXT OF THE ARMENIAN CINEMA.

The article is devoted to the film music by Avet Terteryan. Film music - is the most unexplored area in his work. A. Terteryan associated with cinematography at different levels. A. Terteryan associated with cinematography at different levels. The musician showed himself not only as a composer but also as an actor. In the film by Vigen Chaldranian "Voice in the Wilderness", he played one of the bit parts. In addition, some aspects of the dramatic symphonies can be compared with cinematic techniques.

List of works of the composer in the field of cinematography is impressive: more than twenty films were based on works by Avet Terteryan. Genre films are varied: drama, adventure, historical and biographical picture, a documentary film. The purpose of the report is to present symphonic music by Avet Terteryan in the context of Armenian cinema. The research is based on the method of the traditional historical and theoretical musicology, as well as modern works on film by I. Ioffe, Z. Lissa, N. Agafonova, I. Hangeldieva, I. Shilova, S. Gurevich and others.

**ლუბოვ პეტროვა**

ბელარუსის მუსიკის სახელმწიფო აკადემია. მაგისტრატურა
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, პროფესორი კალერია სტეპანცევიჩი

## ძველსლავური სახეები ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის ოპერებში („თოვლია“, „სადკო“, „თქმულება უხილავ ქალაქ კიტეჟზე და ქალწულ თებრონიაზე“)

მოხსენება ეძღვნება ძველი სლავური კულტურისთვის ტრადიციულ, „ღვთაებრივ“ და პანთეისტურ სახეებს, რომლებიც წარმოადგენენ ნ. რიმსკი-კორსაკოვის მთელი რიგი ოპერების საფუძველს. ყველაზე მკაფიოდ კომპოზიტორის პანთეისტური მსოფლმხედველობა სამ ოპერაში გამოვლინდა, რომლებიც ერთმანეთს იდეურად ენათესავებიან და წარმოქმნიან ერთგვარ „პანთეისტურ ტრილოგიას“. ესენია: „თოვლია“, „სადკო“, „თქმულება უხილავ ქალაქ კიტეჟზე და ქალწულ თებრონიაზე“.

მათი სახეობრივი შინაარსის სიახლოვე, ჩვენი აზრით, პირველ რიგში ვლინდება თითოეულ მათგანში ბუნების უძველესი კულტის გარდატეხაში, რომელიც ემყარება ქრისტიანობამდელი რუსეთის რწმენებს და თითოეულში ამ ოპერათაგან თავისი ერთ-ერთი იპოსტასითაა წარმოდგენილი.

ნ. რიმსკი-კორსაკოვის ზემოხსენებული ოპერების კვლევისას არ შემოვფარგლულვართ მხოლოდ ტრადიციული მუსიკოლოგიური მიდგომებით, არამედ დავეყრდენით თემის პრობლემატიკისათვის აქტუალურ ნაშრომებს სლავურ და ადრესლავურ ისტორიასა, მითოლოგიასა და კულტურაში.





**Lubov Petrova**

Belarusian State Music Academy, Master studies
Scientific supervisor – Candidate of arts, professor Kaleria Stepantsevich

## OLD SLAVIC IMAGES IN THE OPERAS BY N. A. RIMSKI-KORSAKOV (“THE SNOW MAIDEN” (SNEGUROCHKA), “SADKO” AND “THE LEGEND OF THE INVISIBLE CITY OF KITEZH AND THE MAIDEN FEVRONIYA”)

This article considers operas by N. A. Rimski-Korsakov “The Snow Maiden” (Snegurochka), “Sadko” and “The Legend of the Invisible City of Kitezh and the Maiden Fevroniya” in their relation with Old Slavic world outlook and culture, which allows to get a wider conception about pantheistic world of images of these works. The most essential feature, which unites these operas, is Old Cult of Nature. It is based on beliefs of pre-Christian Russia and is refracted in each work in one of its hypostatic. So, the most bright, primary and ground idea of the opera “The Snow Maiden” is the Cult of the Sun. This idea generates all development of the plot, and the opera represents itself as a whole hymn to main godhood of Slavs – life-giving Sun as Yarila.

